



დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტის
საზ. საექთნო კოლეჯი

დავით ტვილდიანის

სახელობის

სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო
კოლეჯი



დავით ტვილდიანის

პრაქტიკოსის ექთნის
სამედიცინო უნივერსიტეტის

საზ. საექთნო კოლეჯი

პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებულად დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

პროგრამაზე დაშვება ხორციელდება პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზანია - მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო თეორიული და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

➤ **ყველა სამედიცინო დაწესებულებაში:**

- სტაციონარი
- ამბულატორია
- დიაგნოსტიკური ცენტრი
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
- რეაბილიტაციის ცენტრები
- ესთეტიკური ცენტრები
- გადაუდებელი დახმარების ცენტრები
- სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები

➤ **სხვადასხვა ინსტიტუციაში:**

- ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)
- პალიატიური მზრუნველობის ცენტრები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
- კვების ობიექტები

➤ **ჯანდაცვის ორგანიზაციაში**

- ჯანდაცვის სამინისტრო

სასწავლო წლის ხანგრძლივობა და კრედიტების მოცულობა

1. საგანმანათლებლო პროგრამა მოცავს 32 თვეს , 6 სემესტრს და 179 კრედიტს.
2. სამუშაო კვირების რაოდენობა 117.
3. 1 კრედიტი 25 საათია

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სწავლების 6 სემესტრიანია

I სემესტრს ეთმობა 30 კრედიტი და ისწავლება 2 საგანი. კვირის მაქსიმალური დატვირთვა შეადგენს 40 საათს.

საწყის ეტაპზე გეგმაში გაიწერა ქართული ენა A2 და B1 მოდულები ქართული ენის ცოდნის დონეების შესაბამისად.

პირველი სემესტრი

	მოდული	წინაპირობა	კრედიტი	საათები ჯამურად	საკონტაქტო	დამოუკ. მეცად.
1	ქართული ენა A2	საბაზო განათლება	15	375	295	80
2	ქართული ენა B1	საბაზო განათლება; ქართული ენა A2	15	375	296	79
			30	750	591	159

II სემესტრს ეთმობა 32 კრედიტი და ისწავლება 9 საგანი. კვირის მაქსიმალური დატვირთვა შეადგენს 40 საათს.

საწყის ეტაპზე გეგმაში გაიწერა ზოგადი სავალდებულო მოდულები და ის სავალდებულო თეორიული არჩევითი მოდულები, რომელიც საფუძვლად უდევს შემდეგ სემესტრში განერილ სასწავლო მოდულების უკეთ ათვისებას. პირველი სამი სასწავლო მოდული (კომუნიკაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები და პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები) ისწავლება პარალელურად

- კომუნიკაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები და პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები - მოდულების გეგმით გათვალისწინებული იქნება ინტერაქტიული მეცადიონებები; როლური თამაშები, სიმულაციები, პრაქტიკული დავალებების შესრულება, დისკუსიების და პრეზენტაციების ორგანიზება. სასწავლო გარემო მიახლოებულია რეალურ სიტუაციასთან, რაც ხელს უწყობს სტუდენტის განვითარებას.
- უცხო ენა, სამედიცინო ტერმინოლოგია და სამედიცინო დოკუმენტაცია სასწავლო გეგმით შეისწავლება პარალელურ რეჟიმში. ლათინური ტერმინოლოგია შეისწავლება, როგორც საბაზისო საგანი. მნიშვნელოვანი აბრევიაციები და საკვანძო ტერმინოლოგიის შესწავლა. უცხო ენის ცოდა მნიშვნელოვანია სწავლების პირველივე ეტაპზე, რათა გაადვილდეს ტერმინოლოგიის და ინფორმაციის მოძიება.
- რაოდენობრივი წიგნიერება და მენარმეობა - რაოდენობრივი წიგნიერების მოდული ხელისშემწყობი წინაპირობაა მომდევნო მოდულების საფუძვლიან ათვისებაში, როგორცაა ფარმაკოლოგიის საფუძვლები საექთნო საქმეში. მენარმეობის ძირითადი არსიდან გამომდინარე მოდული შეისწავლება რაოდენობრივ წიგნიერებასთან ერთად.

- გაცნობითი პრაქტიკის მოდული სტუდენტს აძლევს საშუალებას გაერკვეს და მიიღოს ცოდნა დამსაქმებლის და დასაქმებულის ურთიერთობის პრიციპების შესახებ შრომის კოდექსის საფუძველზე, შიდა სტანდარტის და სამუშაო აღწერილობების უკეთ გააზრების მიზნით.
- პაციენტის ფიზიკური შეფასება - მოდულით სტუდენტი ეუფლება დახვეწილ პრაქტიკულ უნარჩვევებს საექთნო საქმეში.

მეორე სემესტრი

	მოდული	წინაპირობა	კრედიტი	საათები ჯამურად	საკონტაქტო	დამოუკ. მეცად.
1	კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3	75	65	10
2	საინფორმაციო ტექნოლოგიები	საბაზო განათლება	4	100	73	27
3	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	საბაზო განათლება	1	25	22	3
4	უცხო ენა (ინგლისური)	საბაზო განათლება	5	125	106	19
5	სამედიცინო ტერმინოლოგია და სამედიცინო დოკუმენტაცია საექთნო საქმეში	საბაზო განათლება	2	50	44	6
6	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2	50	45	5
7	მენარმეობა	საბაზო განათლება	5	125	74	51
8	გაცნობითი პრაქტიკა	საბაზო განათლება	2	50	44	6
9	პაციენტის ფიზიკური შეფასება	სრული ზოგადი განათლება	8	200	154	46
			32	800	627	173

III სემესტრს ეთობა 31 კრედიტი და ისწავლება 8 საგანი. კვირის მაქსიმალური დატვირთვა შეადგენს 40 საათს.

საწყის ეტაპზე გეგმაში გაიწერა ზოგადი სავალდებულო მოდულები და ის სავალდებულო თეორიული არჩევითი მოდულები, რომელიც საფუძვლად უდევს შემდეგ სემესტრიში განერილ სასწავლო მოდულების უკეთ ათვისებას.

- ინფექციის კონტროლი საექთნო საქმეში - ბოლო ხანებში დიდი ყურადღება ექცევა ინფექციის კონტროლს სამედიცინო დაწესებულებაში, ინფექცია წარმოდგენილია პაციენტის უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად რისკ ფაქტორად, მოდულის საწყის ეტაპზე შესწავლა საშუალებას იძლევა მოდერნო მოდულების უსაფრთხოდ შესრულების გარატიას.
- სწავლების პრინციპები საექთნო საქმეში- აღნიშნული მოდული სტუდენტს შეასწავლის პაციენტთან კომუნიკაციას, მზაობას სხვადასხვა სამედიცინო პროცედურითვის. ექთნის კომპეტენციის ფარგლებში პროცედურის მსვლელობის გართულებების, გამოსავლის, მოლოდინის დეტალურ აღწერა.
- საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა -მისი საფუძვლები ცოდნა უშუალო კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის უნარიანობაზე, საექთნო საქმეში ექთნის მოვალეობას შეადგენს პაციენტის განათლება ამ მიმართულებით.
- ავადმყოფის მოვლა - მოდული წარმოადგენს ექთნის საბაზისო უნარჩვევების შესწავლას, როგორც არის სასიცოცხლო მაჩვენებლების მონიტორინგი და ასახვა, პაციენტის დაბანა, ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება უსაფრთხო წესით, ასევე პაციენტის სპეციფიკური მოვალა სხვადასხვა პათოლოგიების დროს.
- ფარმაკოლოგიური საფუძვლები საექთნო საქმეში - მოდული მიზნად ისახავს მედიკამენტების დოზირების შესწავლას, როგორც ტაბლეტირებული ასევე ინტრავენური და სხვა ადმინისტრირების სახით, მედიკამენტების უსაფრთხოდ მენეჯმენტს, დანიშნული მედიკამენტის ნაკითხვის და ადმინისტრირებული მედიკამენტის წერილობით ფორმაში ასახვის შესაძლებლობასა.
- პირველადი გადაუდებელი დახმარება - მოდული მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ დროულად იქნას აღმოჩენილი სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა საექთნო დიაგნოზის დასმა და მისი კომპეტენციის ფარგლებში ინტერვენცია. მოდული წარიმართება სიმულაციის ოთახში, რეალურ სიტუაციასთან მიახლოებულ გარემოში.
- საექთნო პროცედურები და მანიპულაციები - მოდული მიზნად ისახავს საექთნო პროცედურების და მანიპულაციების ორ ეტაპად დაყოფას. პირველი ეტაპი წარმოდგენილია მანიპულაციებით, რომელსაც ექთანი ასრულებს დამოუკიდებლად. მეორე ეტაპი მოიცავს ექიმის ასისტირებას რთული ინვაზიური პროცედურების დროს. მოდული წარიმართება რეალურ გარემოებასთან მიახლოებულ პირობებში, რომლის დროსაც სტუდენს აქვს საშუალება შეისწავლოს, როგორც მანიპულაციის თანმიმდევრობა ასევე თითოეული სახარჯი მასალის სპეციფიკაცია და აგებულება.
- კვება და დიეტა წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების ჯანსაღი წესის უმნიშვნელოვანეს ასპექტს, რაც მნიშვნელოვანია პაციენტის გამოჯანმრთელების და რიაბილიტაციის წინაპირობისთვის.

მესამე სემესტრი

	მოდული	წინაპირობა	კრედიტი	საათები ჯამურად	საკონტაქტო	დამოუკ. მეცად.
1	ინფექციის კონტროლი საექთნო საქმეში	სრული ზოგადი განათლება	4	100	90	10
2	სწავლების პრინციპები საექთნო საქმეში	სრული ზოგადი განათლება	2	50	41	9
3	საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	სრული ზოგადი განათლება	4	100	87	13
4	ავადმყოფის მოვლა	საბაზო განათლება ;მოდული პაციენტის ფიზიკური შეფასება	6	150	128	22
5	ფარმაკოლოგია საფუძვლები საექთნო საქმეში	სრული ზოგადი განათლება	5	125	96	29
6	პირველადი გადაუდებელი დახმარება	საბაზო განათლება	2	50	44	6
7	საექთნო პროცედურები და მანიპულაციები	სრული ზოგადი განათლება; ინფექციის კონტროლი საექთნო საქმეში ; პირველადი გადაუდებელი დახმარება	6	150	132	18
8	კვება და დიეტა	სრული ზოგადი განათლება; მოდული ავადმყოფის მოვლა	2	50	40	10
			31	775	658	117

VI სემესტრს ეთმობა 33 კრედიტი და ისწავლება 10 საგანი. კვირის მაქსიმალური დატვირთვა შეადგენს 40 საათს.

მოდულები განერილია ძირითადი ნოზოლოგიების პრინციპით ისე, რომ ხელს უწყობს თემატიკის უწყვეტობას.

- შინ მოვლა - მოდულის სწავლება მიზნად ისახავს პაციენტის ავადობის ისტორიის და ანამნეზის სრულფასოვან შეგროვებას. შინმოვლის პირობებში პაციენტებისთვის და განსახორციელებელი მანიპულაციებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, პაციენტისთვის

რისკ ფაკტორების შეფასებას და მათ დაფიქსირებას, ოჯახის წევრებთან მუდმივ კომუნიკაციას.

- მუშაობის სპეციფიკა სამედიცინო ლაბორატორიაში - მოდულის სწავლება მიზნად ისახავს პაციენტის ბიოლოგიური მასალის პრენალიზური ფაზის სრულფასოვნად შესწავლას: პაციენტის მომზადება, ანალიზისთვის მასალის აღების ტექნიკა, საანალიზო მასალის შენახვა და ტრანსპორტირების სწორი ხერხის გამოყენება. პოსტანალიზურ ფაზაზე მიღებული შედეგის ანალიზი და ინტერპრეტაცია კომპეტენციის ფარგლებში. დიაგნოსტიკური პროცედურებისთვის პაციენტის მომზადება, პროცესის მსვლელობისას დინამიკაში დაკვირვება და კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა. პაციენტთან კომუნიკაციის დამყარება, პროცესის მსვლელობის, დინამიკის, გამოსავლის, მოსალოდნელი დისკომფორტის და გართულებების განმარტება.
- თერაპიული პაციენტის მართვა- თერაპიული პაციენტების საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნობოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- ენდოკრინოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა - ენდოკრინოლოგიური პაციენტების საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნობოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა: დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტების საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნობოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა - ქირურგიული პაციენტების საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნობოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მოვლა - გინეკოლოგიური პაციენტების საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნობოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- თავისა და კისრის პათოლოლოგიებით პაციენტის საექთნო მართვა - თავისა და კისრის პათოლოლოგიებით პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნობოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო

გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.

- საოპერაციო ბლოკში ექთნის საქმე- აღნიშნული მოდული მოიცავს საოპერაციო ბლოკის შეფასებას საჭირო აღჭურვილობის, აპარატურის, ინსტრუმენტების, საკერავი მასალის მომზადებას. ოპერაციის მსვლელობისას საჭირო იარაღის გამოყენების ტექნიკის შესწავლას, ასეპტიკა-ანტისეპტიკის წესების მკაცრ დაცვას, იარაღის დახარისხებას. დეზინფექციის და სტერილიზაციის ძირითადი პრინციპების შესწავლას.
- პალიატიული პაციენტის საექთნო მართვა - პალიატიული პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. პაციენტზე დინამიკაში დაკვირვება და საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით იმპლემენტაციის დაგეგმვა და მუდმივი გადაფასება. პაციენტის ფსიქო-ემოციური სტატუსის განსაზღვრა.

მეთხე სემესტრი

	მოდული	წინაპირობა	კრედიტი	საათები ჯამურად	საკონტაქტო	დამოუკ. მეცად.
1	შინმოვლა	საბაზო განათლება; ავადმყოფის მოვლა	4	100	84	16
2	მუშაობის სპეციფიკა სამედიცინო ლაბორატორიებში და დიგნოსტიკის ცენტრებში	სრული ზოგადი განათლება	2	50	50	0
3	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	6	150	125	25
4	ენდოკრინული პაციენტის მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	2	50	38	12
5	დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	2	50	40	10

6	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	7	175	146	29
7	გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	4	100	84	16
8	თავისა და კისრის პათოლოგიებით პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	2	50	40	10
9	საოპერაციო ბლოკის ექთნის საქმე	სრული ზოგადი განათლება ინტენსიური კონტროლი საექთნო საქმეში	2	50	45	5
10	პალიატიური პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება ;ავადმყოფის მოვლა	2	50	40	10
			33	825	692	133

V სემესტრს ეთმობა 33 კრედიტი და ისწავლება 10 საგანი. კვირის მაქსიმალური დატვირთვა შეადგენს 40 საათს.

მოდულები დანყოფილია, მიახლოებული ნობოლოგიების პრინციპით, რაც ხელს უწყობს თემატიკის უწყვეტობას.


- **ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა** - ონკოლოგიური პაციენტების საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნობოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- **ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვა** - ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნობოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.

- გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა - გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა. ასაკთან მიმართებაში თავისებურების ცოდნა და მათი მისადაგება პაციენტის მდგომარეობასთან.
- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მართვა - აღნიშნული მოდული შეისწავლის კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებზე დაკვირვებას და მართვას, პაციენტების ტრიაჟს და მოვლის ინტენსივობის პრიორიტეტულობის განსაზღვრას, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობის დროულ დეტექციას და კომპეტენციის ფარგლებში ჩარევას.
- ექთან ანესთეზისტის საექმე- აღნიშნული მოდული შეისწავლის ოპერაციების ტიპების, ნოზოლოგიების, პაციენტის ასაკისა და წონის გათვალისწინებით ანესთეზიის ტიპების, ეტაპების და მიდგომების არჩევას. ოპერაციის მსვლელობისას პაციენტის მგომარეობაზე დაკვირვებას და მის დოკუმენტაციაში დაფიქსირებას.
- ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა - ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- რეაბილიტაცია საექთნო საქმეში - აღნიშნული მოდული შეისწავლის ავადობის შემდგომ პაციენტის რეაბილიტაციას და პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას, პროცესში მიმდინარეობს პაციენტზე დაკვირვება და ნოზოლოგიიდან გამომდინარე მიდგომის შერჩევა.
- ინფექციური პაციენტის საექთნო მართვა - ინფექციური პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა. იზოლაციის პრინციპების ცოდნა და მასთან დაკავშირებული ნიუანსების შესწავლა.
- პედიატრიული პაციენტის მართვა - პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა. ასაკობრივი თავისებურებების და ნორმების ცოდნა.
- ფიზიოთერაპიის მოდულის სწავლება მიზნად ისახავს პაციენტის მომზადებას ფიზიოთერაპიული მანიპულაციისათვის, მსვლელობაში საექთნო დაკვირვებას, მგომარეობის დინამიკაში გაანალიზებას და აღრიცხვას.

მეხუთე სემესტრი

	მოდული	წინაპირობა	კრედიტი	საათები ჯამურად	საკონტაქტო	დამოუკ. მეცად.
1	ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	3	75	60	15
2	ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	3	75	60	15
3	გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება ავადმყოფის მოვლა	2	50	40	10
4	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	6	150	134	16
5	ექთანი ანესთეზისტის საქმე	სრული ზოგადი განათლება ინფექციის კონტროლი საექთნო საქმეში	2	50	44	6
6	ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	4	100	85	15
7	რეაბილიტაცია საექთნო საქმეში	სრული ზოგადი განათლება მოდული: კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	2	50	42	8
8	ინფექციური პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	4	100	85	15

9	პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	სრული ზოგადი განათლება მოდული: პაციენტის ფიზიკური შეფასება	5	125	106	19
10	ფიზიოთერაპია	სრული ზოგადი განათლება; ავადმყოფის მოვლა	2	50	40	10
			33	825	696	129



VI სემესტრს ეთმობა 20 კრედიტი და ისწავლება 3 საგანი. კვირის მაქსიმალური დატვირთვა შეადგენს 40 საათს.

სემესტრი შედგება სამი მოდულიდან.

- სამოქალაქო განათლება - მოდული მოიცავს ისეთ საკითხებს, რომელიც ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, აუცილებელ, საჭირო აქტივობებში დაეხმარება.
- პრაქტიკული პროექტი - მოდული ითვალისწინებს პროფესიული საქმიანობის დაგეგმვას და მათ განვითარებას. სტუდენტი შეისწავლის პაციენტზე დაკვირვებას, მისი მდგომარეობის შეფასებას, დიაგნოზის დასმას, გამოსავლის იდენტიფიცირებას და სამოაულო სამოქმედო საფეხურების დაგეგმვას, იმპლემენტაციას, მდგომარეობის გადაფასებას.
- სანარმოო პრაქტიკა-აღნიშნული მოდული შეისწავლის ყველა შექმნილი საბაზისო და კლინიკური უნარჩვევების შეჯამებას და პრაქტიკაში დამოუკიდებლად გამოყენებას. სწავლება მიმდინარეობს როგორც სასწავლო ობიექტზე, ასევე სიმულაციის ლაბორატორიაში და კლინიკურ ბაზებზე.

მეექვსე სემესტრი

	მოდული	წინაპირობა	კრედიტი	საათები ჯამურად	საკონტაქტო	დამოუკ. მეცად.
1	სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება	2	50	38	12
2	პრაქტიკული პროექტი	სრული ზოგადი განათლება	6	150	35	115
3	საწარმოო პრაქტიკა	სრული ზოგადი განათლება	12	300	270	30
			20	500	343	157

სწავლებაში გამოიყენება როგორც ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მონოდედებული სარეკომენდაციო სახელმძღვანელოები, ასევე უცხოური ლიტერატურა და სახელმძღვანელოები. სასწავლო პროცესს წარმართავენ კვლითი-მეცნიერული პედაგოგები, წამყვანი სპეციალისტები.

გამოიყენება კომპიუტერული სწავლების საშუალებები (კომპიუტერული კლასი, ინტერნეტი, ა. შ.), ასევე სასწავლებელში არის მაღალტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილ სიმულაციური კლინიკური უნარჩვენების ლაბორატორია.

სწავლების პროცესში გამოიყენებულია სხვადასხვა ფორმები: ინტერაქტიული ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching), სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება, პრეზენტაციები და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 20 კრედიტის ოდენობით არჩევითი პროფესიული მოდულებს.

თეორიული სწავლება მიმდინარეობს სასწავლებლის ბაზაზე, ხოლო პრაქტიკული უნარჩვენების შესწავლა შემდეგ კლინიკურ ბაზებზე: შპს „უნიმედი კახეთი-ბავშვთა ახალი კლინიკა. სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი. შპს „მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო. შპს „უნიმედ კახეთი-თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საექთნო პროცესის მართვა
- კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

ზოგადი კომპეტენციები

პროფესიული უნარები

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	საექთნო პროცესის მართვა	<ul style="list-style-type: none"> • იცის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პრინციპები • იცის ინფორმაციის სტრუქტურულად და თანმიმდევრულად გადაცემის წესი • იცის სამედიცინო ტერმინოლოგია • იცის დამატებითი ინფორმაციის მოპოვების ხერხები პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისაგან • იცის ტრიაჟის სიტემა • იცის ანამნეზის შეგროვების თანმიმდევრობა • იცის პაციენტის ფიზიოლოგიური და ფსიქოსოციალური ასპექტები • იცის პაციენტის ვიტალური ფუნქციების შეფასების წესი და ასაკობრივი თავისებურებები • იცის ფიზიკური შეფასების სტანდარტული მეთოდები შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით • იცის ვიტალური ფუნქციების მონიტორინგის წესი • იცის ვიტალური ფუნქციების მონიტორინგისათვის საჭირო რესურსები • იცის პირველადი და გადაუდებელი ღონისძიებების თანმიმდევრობა და ჩატარების წესი ვიტალური ფუნქციების მონიტორინგის შედეგების შესაბამისად • იცის დაავადების სიმპტომები და სინდრომები • იცის არსებული დაავადების წამყვანი სიმპტომები და სიმძიმე, მათი შეფასება/მართვის წესები • იცის მოდიფიცირებადი და არამოდიფიცირებადი რისკფაქტორები • იცის პრობლემების პრიორიტეტებად დიფერენცირება • იცის საკუთარი აქტივობის 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ეფექტიანი კომუნიკაცია • შეუძლია კომუნიკაციის დამყარება პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან • შეუძლია სამედიცინო ტერმინოლოგიის შესაბამისად გამოყენება • შეუძლია ინფორმაციის კორექტულად მოპოვება პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისაგან • შეუძლია ტრიაჟის სისტემის მიხედვით პაციენტის შეფასება/დახარისხება • შეუძლია ანთროპომეტრიული ღონისძიებების ჩატარება • შეუძლია ვიტალური ფუნქციების შეფასება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით • შეუძლია ვიტალური ფუნქციების მონიტორინგი • შეუძლია ვიტალური ფუნქციების მონიტორინგისათვის საჭირო რესურსების გამოყენება • შეუძლია სათანადო დოკუმენტაციის წარმოება • შეუძლია დაავადებასთან არსებული წამყვანი სიმპტომისა და სიმძიმის შეფასება- მართვა კომპეტენციის ფარგლებში • შეუძლია რისკფაქტორების იდენტიფიცირება • შეუძლია მოდიფიცირებადი და არამოდიფიცირებადი რისკფაქტორების განსაზღვრა და მართვა • შეუძლია პრობლემების პრიორიტეტებად დიფერენცირება • შეუძლია საკუთარი აქტივობის დალაგება-განხორციელება შესაბამისის პრობლემის სირთულეების მიხედვით • შეუძლია შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება • შეუძლია საექთნო მოვლის სპეციფიკის გათვალისწინება

	<p>დალაგება/განხორციელება შესაბამისი პრობლემების სირთულის მიხედვით</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის საექთნო პროცესის დოკუმენტურად გაფორმების წესი • იცის ექიმის მიერ მისთვის განწერილი სამუშაო მითითების მნიშვნელობა • იცის საექთნო მოვლის სპეციფიკა დაავადებების მიხედვით • იცის პაციენტის მდგომარეობის შეფასების მეთოდი • იცის არსებულ პირობებში საექთნო მოვლის დაგეგმარება • იცის პრიორიტეტების განსაზღვრა და მნიშვნელობა • იცის, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, საექთნო მოვლის გეგმის შემუშავება • იცის საექთნო მოვლის მიზნები • იცის მიზნის მისაღწევად სიტუაციის შესაბამისი ქმედებები • იცის მიზნის მისაღწევად საჭირო რესურსები • იცის საექთნო მოვლის პრინციპები • იცის და იყენებს საექთნო ჩარევის კატეგორიებს გეგმის განხორციელებისას • იცის სტანდარტები საექთნო ჩარევის შესახებ • იცის მედიკამენტების გამოყენების, განზავებისა და შენახვის წესები • იცის კანონმდებლობა პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ • იცის საექთნო ჩარევაზე კლინიკური პასუხი, პაციენტის დაავადებიდან გამომდინარე • იცის საექთნო ჩარევის ტექნიკურად გამართულად განხორციელება • იცის საექთნო მოვლის ხარისხის კრიტერიუმები • იცის, პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლო გართულებები • იცის სამომავლო საექთნო გეგმის შემუშავება • იცის ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის მეთოდები და გზები • იცის დაავადებების სიმპტომები, დიაგნოსტიკის მეთოდები, საექთნო მოვლა, ფარმაკოლოგია და სხვ. • იცის პირველადი გადაუდებელი დახმარების მეთოდები არსებული ალგორითმის მიხედვით 	<p>დაავადებების მიხედვით</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია პაციენტის მდგომარეობის შეფასება • საექთნო შეფასებისა და გარემო ფაქტორების გათვალისწინებით • შეუძლია გადაწყვეტილების მიღება შემდგომი ქმედებების შესახებ • შეუძლია არსებულ პირობებში საექთნო მოვლის დაგეგმარება • შეუძლია პრიორიტეტების განსაზღვრა და თანმიმდევრული დალაგება • შეუძლია ანალიზის საფუძველზე სამოქმედო გეგმის დასახვა • შეუძლია მიზნის განსაზღვრა • შეუძლია მიზნის მისაღწევად არსებული სიტუაციებიდან შესაბამისი ქმედებების განხორციელება • შეუძლია საჭირო რესურსების გამოყენება • შეუძლია საექთნო მოვლის სრულყოფილად ჩატარება მონიტორინგისა და პრიორიტეტების თანმიმდევრობის მიხედვით • შეუძლია საექთნო ჩარევა შესაბამისი კატეგორიების მიხედვით • შეუძლია საექთნო სტანდარტებით მოქმედება • შეუძლია საექთნო ჩარევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება • შეუძლია მედიკამენტების უსაფრთხოდ გამოყენება • შეუძლია საექთნო ჩარევის განხორციელება პაციენტის უფლებების დაცვით • შეუძლია საექთნო ჩარევის ტექნიკურად გამართულად განხორციელება • შეუძლია საექთნო ჩარევისას, პაციენტის დაავადებიდან გამომდინარე, კლინიკური გამოვლინებებისას სათანადო რეაგირება • შეუძლია პაციენტის საწყისი შეფასებისა და მიღწეული შედეგების შედარება • შეუძლია საექთნო მოვლის ხარისხის კრიტერიუმების გამოყენება • შეუძლია პაციენტის მდგომარეობის შესაძლო გართულებების განსაზღვრა • შეუძლია სამომავლო საექთნო გეგმის შემუშავება არსებული
--	---	--

			<p>შედეგების საფუძველზე</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის რეკომენდაციების მომზადება • შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში შესაბამისი, პაციენტზე ორიენტირებული რეკომენდაციების მომზადება და მიწოდება • შეუძლია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა არსებული ალგორითმის მიხედვით • შეუძლია საგანგებო მდგომარეობებსა და კრიტიკული სიტუაციებში კოორდინირებული ქმედება
2.	<p>კომუნიკაცია საზოგადოებასა და ჯანდაცვის გუნდთან</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური მეთოდები • იცის თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესი • იცის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები • იცის ინტერპერსონალური კომუნიკაციის საშუალებები • იცის ადმინისტრაციის მიერ გამოცემული ბრძანებები და მითითებები • იცნობს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით დადგენილ ეთიკურ კოდექსს • იცნობს სამედიცინო ეთიკისა და საქმიანობის მარეგულირებელ მოქმედ კანონებს • იცის ქვეყანაში არსებული სხვადასხვა რელიგია და მიმდინარეობა • იცის ინფორმაციის გაცემისას ინფორმაციის მნიშვნელობის, გარემოსა და მოსაუბრის გათვალისწინების აუცილებლობა • იცის ინფორმაციის კონფიდენციალობის მნიშვნელობა • იცის „პრობლემური“ მომხმარებელი (პაციენტი, პაციენტის ოჯახის წევრი) • იცის სამუშაო პროცესში „პრობლემურ“ მომხმარებელთან (პაციენტი, პაციენტის ოჯახის წევრი) კომუნიკაციისას ქცევის სტრატეგიის ჩამოყალიბების მეთოდი 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია კომუნიკაციის როგორც ვერბალურ და არავერბალური მეთოდების, ისე თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენება • შეუძლია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით ხელმძღვანელობა პრაქტიკული საქმიანობისას • შეუძლია ინტერპერსონალური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების მეთოდებით ხელმძღვანელობა • შეუძლია მოლაპარაკების წარმართვა პროფესიული თვალსაზრისით გემდგომ/დაქვემდებარებაში მყოფ პერსონალთან სამუშაო პროცესში ფუნქციების გადანაწილების თაობაზე • შეუძლია ადმინისტრაციის მიერ გამოცემული ბრძანებებისა და მითითებების კვალიფიციურად შესრულება • შეუძლია არსებული კანონმდებლობის მიხედვით საკუთარი მოვალეობის შესრულება • შეუძლია მოსმენა • შეუძლია მუშაობის პროცესში პაციენტის მენტალური, კოგნიტური, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, ასაკობრივი და დაავადების თავისებურებების გათვალისწინება • შეუძლია ინფორმაციის გაცემის/მიღებისას არსებული სიტუაციის, მოსაუბრის შეფასება • შეუძლია ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა • შეუძლია „პრობლემური“ მომხმარებლის (პაციენტი,

			<p>პაციენტის ოჯახის წევრი) განსაზღვრა</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია „პრობლემური“ მომხმარებლის (პაციენტი, პაციენტის ოჯახის წევრი) მდგომარეობის შეფასება • შეუძლია სამუშაო პროცესში „პრობლემურ“ მომხმარებელთან (პაციენტი, პაციენტის ოჯახის წევრი) კომუნიკაციისას ქცევის სტრატეგიის ჩამოყალიბება
3.	<p>ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის ხელის დეკონტამინაციის მეთოდები • იცის ალჭურვილობის დაყოფა ჯგუფები • იცის დეზინფექცია-სტერილიზაციის საჭიროება • იცის დეზინფექცია-სტერილიზაციის წესები • იცის ნობოკომიალური ინფექციის პრევენციის პრინციპები ორგანიზმის სისტემების მიხედვით • იცის ანტისეპტიკის მეთოდები • იცის პაციენტის მომზადების თანმიმდევრობა და წესი • იცის რესურსების ჩამონათვალი • იცის პროცედურის დროს ექიმის დახმარების შესაბამისი წესები • იცის სპეციფიკური მოვლის სახეები • იცის ქვეყანაში ადაპტირებული საერთაშორისო სტანდარტებით არსებული კანონმდებლობა სანიტარიულ-ჰიგიენურ-ეპიდემიოლოგიური ნორმების შესახებ • იცის თავდაცვის სტანდარტული მეთოდები • იცის ინფექციური დაავადებების მიხედვით პაციენტის განლაგების პრინციპები • იცის სტერილიზაცია-დეზინფექციის შესახებ მოქმედი ბრძანებები • იცის ნარჩენებისა და გამოყენებული ნივთების მართებულად გადაადგილების წესები • იცის ინფექციური დაავადებები • იცის ინფექციური დაავადებების გავრცელების ჯაჭვის მიხედვით გამოსაყენებელი შესაბამისი რესურსები • იცის პროცედურული ჩარევების დროს ალჭურვილობის უსაფრთხოდ გამოყენების წესი 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მართებულად განსაზღვროს ხელის დეკონტამინაციის მეთოდები საექთნო ჩარევის დროს • შეუძლია მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების კლასიფიკაცია (კრიტიკული, ნაკლებად კრიტიკული, არაკრიტიკული) • შეუძლია ანტისეპტიკის მეთოდების გამოყენება • შეუძლია პაციენტის მომზადება • შეუძლია საჭირო რესურსის მომზადება • შეუძლია ექიმის დახმარების დროს პრიორიტეტების განსაზღვრა • შეუძლია პაციენტის სპეციფიკური მოვლა • შეუძლია სათანადო დოკუმენტაციის წარმოება • შეუძლია ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით ხელმძღვანელობა • შეუძლია თავდაცვის სტანდარტების მეთოდების გამოყენება • შეუძლია ინფექციური დაავადებების მიხედვით პაციენტთა განლაგების პრინციპების დაცვა • შეუძლია სტერილიზაცია-დეზინფექციასთან დაკავშირებული მოქმედი ბრძანებების მიხედვით მოქმედება • შეუძლია საიზოლაციო შემზღვეველი ღონისძიებების გატარება • შეუძლია მიმართოს სათანადო სამსახურებს დამატებითი პირობების შესაქმნელად • შეუძლია სამედიცინო ნარჩენების დახარისხება

		<ul style="list-style-type: none"> • იცის სამედიცინო ნარჩენების დახარისხების პრინციპები 	
4.	<p>სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის ერთჯერადი გამოყენების საგნების დანიშნულება და ჩამონათვალი • იცის საჭირო მარაგის რაოდენობის განსაზღვრა • იცის მედიკამენტების ხარჯთაღრიცხვის წარმოება • იცის სისხლისა და სისხლისშემცველი კომპონენტების შენახვის წესები • იცის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესი • იცის საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმა • იცნობს ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებით 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საჭირო დოკუმენტაციის წარმოება • შეუძლია შესაბამისი ერთჯერადი გამოყენების საგნების რაოდენობის გათვლა და მიზნობრივ/რაციონალური ხარჯვა • შეუძლია ხარჯთაღრიცხვის წარმოება • შეუძლია მედიკამენტების დახარისხება შესაბამის დოკუმენტაციაში • შეუძლია სისხლისა და სისხლისშემცველი კომპონენტების ხარჯთაღრიცხვის წარმოება შესაბამის დოკუმენტაციაში • შეუძლია საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის მართებულად წარმოება • შეუძლია, ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
5.	<p>ზრუნვა პროფესიული განვითარებისათვის</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის პროფესიული განვითარების აუცილებლობა და მნიშვნელობა • იცის, როგორ შეიძლება აიმაღლოს კვალიფიკაცია • იცის ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის აუცილებლობა • იცის „პროფესიული“ ინფორმაციის მნიშვნელობა • იცის თანამედროვე ტექნოლოგიები და მათი გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება • იცის, ვის მიმართოს სამუშაოსთან დაკავშირებული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად • იცის, ვის მიმართოს პრობლემის შესაბამისი რეკომენდაციის მისაღებად • იცის არსებული შრომითი ბაზარი • იცის სხვადასხვა მიმართულებით პროფესიული გადამზადების არსებული მოდულები • იცის პროფესიულ ორგანიზაციებში განევრიანების მნიშვნელობა 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და რეალიზება • შეუძლია მიღებული ინფორმაციის გაზიარება • შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით დამოუკიდებლად პროფესიის შესაბამისი ლიტერატურის მოძიება • შეუძლია რეკომენდაციის საჭიროების განსაზღვრა • აქვს მართებული რეკომენდაციის მიღების უნარი • შეუძლია არსებულ შრომით ბაზარზე პროფესიული განათლებისა და რეალიზაციის შესაძლებლობების შეფასება • შეუძლია პროფესიული რეალიზაციის გზების გამონახვა შრომით ბაზარზე • შეუძლია პროფესიულ ორგანიზაციებში განევრიანების მიზნის განსაზღვრა • შეუძლია პროფესიული ორგანიზაციების მოძიება და განევრიანება

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სტანდარტი¹

შეფასებისას მონმდება სტუდენტის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობა, ანუ კომპეტენცია. კომპეტენციის შეფასებისას სტუდენტის შეფასება ხდება სასწავლო მოდულის სპეციფიკაციებში მოცემული შესრულების კრიტერიუმების თანახმად. უპირატესობა ენიჭება პრაქტიკული საქმიანობის შეფასებას, თუმცა ეს არ უგულებელყოფს ცოდნისა და კოგნიტური უნარების მნიშვნელობას.

კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების პროცესში ხდება სტუდენტის მიერ ცოდნისა და უნარების შესაბამისი მტკიცებულებების შექმნა-შეგროვება და სტუდენტის მიღწევების დონის დადგენა შეფასების სტანდარტის შესაბამისად.

სწავლის შედეგები ფასდება სამუშაო ადგილზე, მის ფარგლებს გარეთ ან ორივე ვარიანტის კომბინაციით.

სამუშაო ადგილზე პროფესიული სტუდენტის შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან რეალურ სამუშაო პირობებში იზომება სტუდენტის ცოდნა და უნარები.

მტკიცებულების ქვეშ მოიაზრება სწავლის შედეგის მატერიალური სახით არსებული დასტური. მტკიცებულებების შეგროვება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში და სწავლის დასრულებისას.

კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების დროს გამოიყენება შეფასების ორი ვარიანტი:

1. სტუდენტი კომპეტენტურია ანუ სტუდენტს შეუძლია სწავლის შედეგით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.
2. სტუდენტი ჯერ არ არის კომპეტენტური ანუ სტუდენტს არ შეუძლია სწავლის შედეგით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.

მოდულური პროგრამის გავლის დასადასტურებლად უნდა დადებითად შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული;

მოდულის ფარგლებში დადებითად ფასდება მოდულის შესაბამისი ყველა სწავლის შედეგი;

მოდულის ფარგლებში დადებითად ფასდება თითოეული სწავლის შედეგის შესაბამისი ყველა კრიტერიუმი;

სწავლის შედეგის დადებითად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს არ მოეთხოვება ამავე სწავლის შედეგის ხელახალი დადასტურება;

¹ სტუდენტთა შეფასების გზამკვლევი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს, ეძლევა აღნიშნული სწავლის შედეგის დადასტურების უფლება.

შეფასება ტარდება სხვადასხვა გარემოში: აუდიტორიაში, სამუშაო ადგილზე, სამუშაო ადგილის მსგავს სიმულაციურ ლაბორატორიაში.

შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

პროცესზე დაკვირვება;

პროდუქტი /შედეგი;

გამოკითხვა(აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური - უნარები).

ხელახალი შეფასების შესაძლებლობები

წარუმატებელი სტუდენტებს ეძლევათ ხელახალი შეფასების შესაძლებლობა. შესაძლებელია მოდული ჩაბარდეს (დადასტურდეს) სრულად ან ნაწილობრივ (შეთანხმებისამებრ)

შეფასების საბოლოო შედეგების აღრიცხვა

პედაგოგის მიერ შეგროვებულ საკმარის, რელევანტურ/შესაბამის და უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც ასახულებენ, რომ შესაფასებელი პირი აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, პედაგოგს უკვე შეუძლია მოამზადოს საბოლოო გადანყვეტილება და შექმნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ყველანაირი შიდა შეფასება დაეყვემდება შიდა და გარე ვერიფიკაციას (შემოწმებას).

სემესტრის დახურვა და მომდევნო სემესტრში გადასვლა

სემესტრი დახურულად ითვლება, თუ სტუდენტი სემესტრში შემავალ ყველა მოდულს სრულად ჩააბარებს (დაადასტურებს). სტუდენტი, რომელიც დახურავს მიმდინარე სემესტრს, სწავლას აგრძელებს მომდევნო სემესტრში.

თუ სტუდენტი მიმდინარე სემესტრში ჩააგდებს ერთ მოდულს (ვერ დაადასტურებს) ან ვერ შეასრულებს მოდულში განერილ ერთ შედეგს, მას ეძლევა გადაბარების უფლება მეორე სემესტრის დაწყებამდე (სემესტრის დასრულებიდან ერთ კვირაში).

ამასთან კოლეჯი ითვებს უფლებას მოდულის დადასტურება/არდადასტურების ფარგლებში დაადგინოს დამატებითი კრიტერიუმები.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი გადაბარებისას ვერ ჩააბარებს (დაადასტურებს) აღნიშნულ მოდულს, მას უფლება აქვს თავიდან გაიაროს სრული სემესტრი.

სწავლის შედეგების დადასტურება / კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიულ კვალიფიკაციას, სწავლის შედეგების გათვალისწინებით ანიჭებს შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექონო კოლეჯის“ დირექტორის ბრძანებით შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია. პროფესიული

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი.



დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტის
საზ. საექიმო კოლეჯი